საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "19" 11 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1633/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 7 ნოემბერს N 74678/03 განაცხადით შპს „ფჩოლას" წარმომადგენელმა ლერი მინაშვილმა (მის: ერისთავის N2, 0192, თბილისი) მოითხოვა გამოსახულებით სასაქონლო ნიშანზე (რეგ. N 24307) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანი (რეგ. N 24307) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 19.11.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 19.11.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 1-ლი და 35-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოსახულებით სასაქონლო ნიშანზე (რეგ. N 24307) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით 1-ლი კლასის საქონლის ჩამონათვლის მიმართ (მოთხოვნის რეგისტრაციის N434), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 19.11.2013.

ასლი დედანთან სწორია
19 11 2013 წ.
ხელმოწერა

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს „ფჩოლას" წარმომადგენელს ლერი მინაშვილს (მის: ერისთავის N2, 0192, თბილისი)

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგ. N 24307

მფლობელი: შპს „ფჩოლა“

მისამართი: ერისთავის N2, 0192, თბილისი, საქართველო

კლასი: 1 - აგროქიმიკატები, სასუქები, მათ შორის მინერალური. 35 - აგროქიმიკატებით ვაჭრობა; ვაჭრობისთვის ხელშეწყობა.